2023 წელს მიღებული გრანტების შესახებ ინფორმაცია

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ გაცემული ფულადი გრანტი

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“-გან 2023 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გრანტის სახით ჩაერიცხა 1 353 294,00 აშშ დოლარი (3 570 666,22 ლარი). აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისთვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტის და ოპერირების დაფინანსებისთვის. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 4 291 063,24 ლარს.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ფულადი გრანტი

„საქართველოს ვიცე–პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ“ 2019 წლის 10 მაისის ადმინისტრაციული შეთანხმების საფუძველზე საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, 2023 წელს გრანტის სახით ჩამორიცხულ იქნა 16 200,00 ევრო (45 661,10 ლარი).

ევროკომისიის კვლევის აღმასრულებელი სააგენტოს (ECREA) მიერ გაცემული ფულადი გრანტი

ევროკომისიის კვლევის აღმასრულებელი სააგენტოსაგან (ECREA) 2023 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გრანტის სახით ჩაერიცხა 10 390,00 ევრო (29 961,65 ლარი). 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 4 647,39 ლარს.